ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 48-Ე ᲬᲚᲘ | № 281 (13973) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1967 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲚᲝ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ XIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ. ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲘ, ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲔᲑᲘ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ Ი. ᲮᲐᲨᲐᲠᲐᲫᲔ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ Ა. ᲤᲐᲜᲯᲘᲣᲚᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲤᲝᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲤᲔᲠᲝᲨᲔᲜᲐᲓᲜᲝᲗᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲔᲓᲜᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲘᲠᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ Ა. ᲑᲐᲠᲔᲗᲘᲜᲘᲫᲔ. ᲤᲝᲢᲝ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ XIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს პროფკავშირთა XIV ყრილობის დელეგატებს და მათი სახით ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საქართველოს პროფესიული კავშირების XIV ყრილობა შეიკრიბა იმ ღირსშესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა ხალხი, რომელმაც ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი, განამტკიცებს მიღწეულ წარმატებებს, ზრდის ტემპს, გადაწყვეტილი აქვს ასევე წარმატებით დაამთავროს მიმდინარე სამეურნეო წელი და უკვე იწყებს ბრძოლას ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ მოიწონეს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივთა ინიციატივა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, და მოუწოდეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს გაშალონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა მშრომელები დარაზმონ მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისებისათვის, ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

შეჯიბრების ინიციატორთა წამოწყებას მხურვალედ გამოეხმაურნენ საქართველოს მშრომელები, რომლებიც მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, მთელ ენერგიას ახმარენ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, ჩვენი დიადი სამშობლოს ახალ აყვავებას.

წარმატებანი, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს, მჭიდროდ დაკავშირებულია ყველაზე მასობრივი ორგანიზაციის, სადაც გაერთიანებულია ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ერთ-ერთი უდიდესი რაზმი, საქართველოს პროფესიული კავშირების. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ელექტრომექანიკოსებმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო სამახსოვრო დროშა დაიმსახურეს.

სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ქარხნის კოლექტივი დაიცვრომლად სრულყოფს ელექტრომანქანებისა და საშახტო მოწყობილობის კონსტრუქციას, წარმატებით ითვისებს და წარმოებაში ნერგავს მანქანებისა და მოწყობილობის ახალ მოდელებს. საიუბილეო წელს აქ დაიწყეს სრულიად ახალი პროდუქციის — „ეს-501“ ტიპის 5 ტონის ტვირთამწეობის ელექტრომტვირთავის გამოშვება. ამ ტიპის მტვირთავი პირველია ჩვენს ქვეყანაში. წელსვე შეიდგენენ ნავთობის მრეწველობისთვის საჭირო მძლავრი ჩასაყვანი ელექტროცენტრიდანული ტუმბოების გამოშვებას, მათივ ითვისებას და უკვე გამოუშვეს უსაშიშრო ლუმინესცენციური საშახტო ლამპრების ნამუშები.

ქარხნის კოლექტივი ამ წარმატებებს როდი სჯერდება. იგი ახალი ამოცანების წინაშე დგას. სწორედ ამიტომ ქუთაისელმა ელექტრომექანიკოსებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოველი ელექტრომექანიკოსების მოწოდებას, თანამოსაქმეთა პასუხად დროულად ჩაებნენ ხუთწლიანის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ქუთაისელ ელექტრომექანიკოსთა ახალ, გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებებში, რომლებსაც ხელს აწერენ ქარხნის დირექტორი ვ. ხარებავა, პარტიული კომიტეტის მდივანი ო. კობეხიძე, პროფკავშირის საქართხო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ლელაძე, ალკკ კომიტეტის მდივანი ჯ. კვეულარია, ელექტრომანქანების საამქროს უფროსი ვ. ცომაია, მოწინავე მუშები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ყანჩელი, ლ. გეგუჩაძე და ვ. ლიპოცევი, ნათქვამია:

საიუბილეო წლის სახელმწიფო გეგმას შევასრულებთ ვადაზე ადრე, 18 დეკემბრისათვის. გეგმის გადაჭარბებით გამოვუშვებთ 300 ათასი მანეთის პროდუქციას.

ხუთწლედის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას შევასრულებთ 4 წელიწადსა და 10 თვეში — 1970 წლის I ნოემბრისათვის, ხოლო ხუთწლედის ბოლო წლის პირველი ოთხი თვის დავალებას ვადაზე ადრე, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე.

მივაღწევთ წარმოების მოცულობის ყოველწლიურ მატებას 15 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების მატებას — 10 პროცენტით 1968 წლის დასაწყისიდან გადავალთ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, მივაღწევთ წარმოების ეფექტიანობის შემდგომ გადიდებას. ხუთწლედის მანძილზე წარმოების ძირითადი ფონდების ერთეულ ღირებულებაზე პროდუქციის წარმოებას გავადიდებთ 2-ჯერ, ხოლო რენტაბელობას — 1,8-ჯერ. 1968 წელს ავამოქმედებთ ახალ საწარმოო სიმძლავრეებს, შევუდგებით შუქტექნიკის მოწყობილობის წარმოებას, ხოლო ხუთწლედის ბოლოს — 1970 წლისათვის საშახტო ლუმინესცენციური ლამპრების წარმოებას ავიყვანთ 100 ათას ცალამდე წელიწადში.

1967-1970 წლებში გავაგრძელებთ ახალი მანქანების წარმოების ათვისებას, კერძოდ, ავითვისებთ 5 ახალი მსხვილი ელექტრომანქანის წარმოებას, ხოლო მოდერნიზაციას გავუკეთებთ 8 მანქანას. ამავე პერიოდში ავითვისებთ 8 სახის ახალი ტიპის ჩასაყვანი ელექტროტამბოს, მოვახდენთ ელექტრომტვირთავის მოდერნიზაციას, ავიყვანთ მას საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონემდე და გადავალთ მის საექსპორტო მიწოდებაზე.

ქუთაისელი ელექტრომექანიკოსები ამბავიდან ქმნიან ტრადიციას სოციალისტური პირობის განაღდებისათვის.

Შ. ᲯᲐᲒᲝᲜᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

## ᲛᲡᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲭᲔᲠᲔᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲡᲐᲥᲛᲔᲚᲔᲑᲡ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი დიდი აღმავლობით შრომობს საიუბილეო წელს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ელექტრომექანიკოსებმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო სამახსოვრო დროშა დაიმსახურეს.

სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ქარხნის კოლექტივი დაიცვრომლად სრულყოფს ელექტრომანქანებისა და საშახტო მოწყობილობის კონსტრუქციას, წარმატებით ითვისებს და წარმოებაში ნერგავს მანქანებისა და მოწყობილობის ახალ მოდელებს. საიუბილეო წელს აქ დაიწყეს სრულიად ახალი პროდუქციის — „ეს-501“ ტიპის 5 ტონის ტვირთამწეობის ელექტრომტვირთავის გამოშვება. ამ ტიპის მტვირთავი პირველია ჩვენს ქვეყანაში. წელსვე შეიდგენენ ნავთობის მრეწველობისთვის საჭირო მძლავრი ჩასაყვანი ელექტროცენტრიდანული ტუმბოების გამოშვებას, მათივ ითვისებას და უკვე გამოუშვეს უსაშიშრო ლუმინესცენციური საშახტო ლამპრების ნამუშები.

ქარხნის კოლექტივი ამ წარმატებებს როდი სჯერდება. იგი ახალი ამოცანების წინაშე დგას. სწორედ ამიტომ ქუთაისელმა ელექტრომექანიკოსებმა მხარი მოსკოველი ელექტრომექანიკოსების მოწოდებას, თანამოსაქმეთა პასუხად დროულად ჩაებნენ ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ქუთაისელ ელექტრომექანიკოსთა ახალ, გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებებში, რომლებსაც ხელს აწერენ ქარხნის დირექტორი ვ. ხარებავა, პარტიული კომიტეტის მდივანი ო. კობეხიძე, პროფკავშირის საქართხო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ლელაძე, ალკკ კომიტეტის მდივანი ჯ. კვეულარია, ელექტრომანქანების საამქროს უფროსი ვ. ცომაია, მოწინავე მუშები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ყანჩელი, ლ. გეგუჩაძე და ვ. ლიპოცევი, ნათქვამია:

საიუბილეო წლის სახელმწიფო გეგმას შევასრულებთ ვადაზე ადრე, 18 დეკემბრისათვის. გეგმის გადაჭარბებით გამოვუშვებთ 300 ათასი მანეთის პროდუქციას.

ხუთწლედის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას შევასრულებთ 4 წელიწადსა და 10 თვეში — 1970 წლის I ნოემბრისათვის, ხოლო ხუთწლედის ბოლო წლის პირველი ოთხი თვის დავალებას ვადაზე ადრე, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე.

მივაღწევთ წარმოების მოცულობის ყოველწლიურ მატებას 15 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების მატებას — 10 პროცენტით 1968 წლის დასაწყისიდან გადავალთ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, მივაღწევთ წარმოების ეფექტიანობის შემდგომ გადიდებას. ხუთწლედის მანძილზე წარმოების ძირითადი ფონდების ერთეულ ღირებულებაზე პროდუქციის წარმოებას გავადიდებთ 2-ჯერ, ხოლო რენტაბელობას — 1,8-ჯერ. 1968 წელს ავამოქმედებთ ახალ საწარმოო სიმძლავრეებს, შევუდგებით შუქტექნიკის მოწყობილობის წარმოებას, ხოლო ხუთწლედის ბოლოს — 1970 წლისათვის საშახტო ლუმინესცენციური ლამპრების წარმოებას ავიყვანთ 100 ათას ცალამდე წელიწადში.

1967-1970 წლებში გავაგრძელებთ ახალი მანქანების წარმოების ათვისებას, კერძოდ, ავითვისებთ 5 ახალი მსხვილი ელექტრომანქანის წარმოებას, ხოლო მოდერნიზაციას გავუკეთებთ 8 მანქანას. ამავე პერიოდში ავითვისებთ 8 სახის ახალი ტიპის ჩასაყვანი ელექტროტამბოს, მოვახდენთ ელექტრომტვირთავის მოდერნიზაციას, ავიყვანთ მას საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონემდე და გადავალთ მის საექსპორტო მიწოდებაზე.

ქუთაისელი ელექტრომექანიკოსები ამბავიდან ქმნიან ტრადიციას სოციალისტური პირობის განაღდებისათვის.

Შ. ᲯᲐᲒᲝᲜᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა (დირექტორი ი. უნგიაძე) ახალგაზრდა საწარმოა. მისთვის ვეება კორპუსები ახლა შენდება. მიუხედავად ამისა, ქარხნის კოლექტივმა თავდადებული შრომით შორს გაითქვა სახელი. აქ მუდამ დიდი გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს. საიუბილეო წლის 10 თვის გეგმა შესრულებულია 102,5 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 19 ელექტროკარი. წელს აითვისეს და სერიულად უშვებენ 3,2 ტონა ტვირთამწეობის ელექტროკარებს, წლის ბოლომდე ითვისებენ ახალ მანქანას—5 ტონა ტვირთამწეობის ელექტროკარს.

ამ დღეებში ქარხნის კოლექტივი დიდი ინტერესით გაეცნო მოსკოვის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივისა და რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივას — გაშალონ ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ამასთან დაკავშირებით აქ აიღეს ახალი გაღდებულებანი.

წლიური გეგმა შეასრულონ 1967 წლის 20 დეკემბრისათვის და დამატებით გამოუშვან 100 ათასი მანეთის ელექტროტექნიკური პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით აამაღლონ 1,6 პროცენტით, რენტაბელობის ზრდის ხარჯზე მიიღონ 25 ათასი მანეთი ეკონომია. წლის ბოლომდე დაიწყონ 5 ტონა ტვირთამწეობის ელექტროკარის სერიული წარმოება. 1968 წლისათვის ნიხა ბერძენიშვილის სახელობის ელექტროტექნიკური ქარხანა ამ ტიპის ელექტროკარებს ეაცხადებთ მთელ პროგრესულ საზოგადოებრიობასთან ერთად, რომელიც მოიფიქრებს დაუყოვნებლივ შეწყვეტს რეპრესიები და საბერძნეთის დემოკრატია და პატრიოტია დაეხმარეთ, ეთანეს საბერძნეთი ხუნტა ამპარეს გაუსწოროს თვალსაჩინო ბერძენ დემოკრატს, ცნობილ კომპოზიტორს მიკის თეოდორაკისს. თავისუფლება ბერძენ პატრიოტებს — მოვითხოვთ ჩვენ.

მიტინგზე გამოვიდა აგრეთვე საბინისტროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. მესხიშვილი, რომელმაც ყველა საბერძნეთის ოლქკომი

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲕᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘ ᲒᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

# ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ XIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ

**1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს პროფესიული კავშირების XIV ყრილობა. ყრილობამ მუშაობა დაიწყო ღირსშესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი, განამტკიცებს მიღწეულ წარმატებებს, ზრდის ტემპს, ავიყვანეთ ასევე წარმატებით დაამთავროს მიმდინარე სამეურნეო წელი და უკვე იწყებს ბრძოლას ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ მოიწონეს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივთა ინიციატივა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, და მოუწოდეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს გაშალონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა მშრომელები დარაზმონ მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისებისათვის, ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

შეჯიბრების ინიციატორთა წამოწყებას მხურვალედ გამოეხმაურნენ საქართველოს მშრომელები, რომლებიც მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, მთელ ენერგიას ახმარენ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, ჩვენი დიადი სამშობლოს ახალ აყვავებას.

წარმატებანი, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს, მჭიდროდ დაკავშირებულია ყველაზე მასობრივი ორგანიზაციის, სადაც გაერთიანებულია ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ერთ-ერთი უდიდესი რაზმი, საქართველოს პროფესიული კავშირების. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ელექტრომექანიკოსებმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო სამახსოვრო დროშა დაიმსახურეს.

საქართველოს პროფესიული კავშირების XIV ყრილობა შეიკრიბა იმ ღირსშესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა ხალხი, რომელმაც ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი, განამტკიცებს მიღწეულ წარმატებებს, ზრდის ტემპს, გადაწყვეტილი აქვს

# ᲜᲐᲙᲚᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲐᲕᲐᲓ

ᲒᲜᲒᲠᲔᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ მუშაობა დაამთავრეს და ნატეხი დიატომიტით დატვირთული უკანასკნელი ვაგონეტი გაისტუმრეს. მათ საანგარიშო კრების დღეს, 10 ნოემბერს, კიდევ 100 ტონა ნატეხი დიატომიტი ამოიღეს მომავალი წლის იანვრის ანგარიშში.

სწორედ დიატომიტის შახტის მიღწევებით დაიწყო თავისი მოხსენება აქტ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ც. საანიშვილმა.

— დიატომიტის მომპოვებელთა წარმატებაში, — თქვა მან, — ცოტა როდია შახტის პარტიული ჯგუფის დამსახურება, რომელშიც 12 კომუნისტია გაერთიანებული. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ აქ სათანადო სიმაღლეზე დგას პოლიტიკურ-მორალური მუშაობა, თვითეულ კომუნისტს კარგად ესმის თავისი მოვალეობა, მუდამ შრომის ავანგარდში იმყოფება და შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას იჩენს, მაგალითად, მნგრეველები პ. მოდებაძე, ვ. კაპანაძე, შ. კაპანაძე, გ. ტაშჩიანი, პ. პოსტნიკოვი და სხვები ცვლაში ყოველდღიურად ორ-ორ ტონა ზეგეგმითს დიატომიტს იძლევიან. სწორედ მათი მაგალითით შრომობენ კომკავშირელები და უპარტიოები.

მას შემდეგ, რაც დიატომიტის შახტს სათავეში ახალგაზრდა კომუნისტი ნოდარ რაზმაძე ჩაუდგა, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც, მაგრამ მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან.

თავი ისახელეს აქატის მომპოვებლებმაც. ათი თვის დავალება 110,2 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით ამოიღეს 2.692 კილოგრამი ტექნიკური აქატი, რითაც პირნათლად გაანადღეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება.

აქაც პირნათლად შეასრულეს თავიანთი ამოცანა პარტიულმა ჯგუფებმა და კომუნისტებმა, რომელთა ხელმძღვანელობითაც აქატის ღია კარიერებზე სამოთოელები დაუღალავად შრომობდნენ დარსა თუ ავდარში, ქედს არ იხრიდნენ სიძნელეების წინაშე და საწარმოო დავალებას მაინც ასრულებდნენ. მომხსენებელმა განსაკუთრებით შეაქო შ. ლომიძის აქატმომპოვებელთა მექანიზებული კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები, რომლებმაც რამდენიმე ტექნიკური სიახლე და რაციონალიზატორული წინადადება დანერგეს.

საანგარიშო პერიოდში ცოტა საქმე როდი გაკეთა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიამ, რომელმაც თავისი დროული სიგნალებითა და საქმიანი წინადადებებით ხელი შეუწყო სამმართველოს ადმინისტრაციას და პარტიულ ორგანიზაციას მუშაობის გაუმჯობესებაში.

კომუნისტები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ კრებაზე, რომ ახალციხის აქატდიატომიტს მაღაროთა სამმართველომ ათ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 39 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით სამშობლოს მისცა 14 ათასი მანეთის ეკონომია.

საანგარიშო პერიოდში პარტიული ბიურო დიდ ყურადღებას უთმობდა პარტიული კრებების მომზადებას, მათს ორგანიზებულად ჩატარებას და მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებას, რაც კიდევ უფრო ზრდიდა კომუნისტთა პასუხისმგებლობას, ხელს უწყობდა მათი თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარებას.

საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილი იყო ის ღონისძიებანი, რომლებიც პარტიულმა ბიურომ განახორციელა აგიტმასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად, პარტიული ჯგუფების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად, სამმართველოს კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი დასახმარებლად.

მოხსენება ძირითადად კომუნისტთა ავანგარდული შრომისა და პარტბიუროს დადებითი გამოცდილების მაგალითებით იყო შედგენილი. და ამ მხრივ სალაპარაკო მართლაც ბევრი აქვთ მათ. მაგრამ წარმატებებთან ერთად იყო ხარვეზებიც, რაზეც გაამახვილეს ყურადღება მოხსენების ირგვლივ კამათში გამოსულმა კომუნისტებმა.

დიატომიტის შახტის უფროსმა ნ. რაზმაძემ თქვა:

— გამარჯვების დროშა ხელიდან რომ არ გაეფუშვა, ამიტომ არც ნაკლოვანებების მხილებას უნდა მოვერიდოთ. ჩვენთან შახტში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არა დგას შრომის დისციპლინა. თუმცა სამუშაოს გამცდენთა რიცხვმა იკლო, მაინც ეს ნაკლი მთლიანად ვერ აღვკვეთეთ. ოქტომბერში არასაპატიო მიზეზით თითქმის ოც-ოცი სამუშაო დღე გააცდინეს მნგრეველებმა შოთა, ლაზარე და ირაკლი ოქრომელიძეებმა, აგრეთვე სხვებმა. ეს ამბანაგები დისციპლინის დარღვევისათვის დაისაჯნენ, მაგრამ გაცდენილი დღეები ხომ დაიკარგა. პარტიული ბიურო საქმეში რომ დროულად ჩარეულიყო და ზომები თავიდანვე მიეღო, ასეთი ფაქტი აღარ იქნებოდა.

ტექნიკის მოვლა-პატრონობასა და რემონტის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე ილაპარაკეს მეექსკავატორე შ. გოგოლაძემ, ავტომძღოლმა ს. ბაბოიანმა და დამბარე საამქროს უფროსმა შ. ზედგინიძემ. მათ აღნიშნეს, რომ უველა მექანიზატორი ტექნიკას ისე როდის უვლის და უფრთხილდება, როგორც საჭიროა, ამის გამო შურდოს კარიერებზე არსებული ოთხი ეექსკავატორიდან მხოლოდ ორი მუშაობს, ორი კი რემონტშია. ყოველთვის არ მოეძებნებათ სათანადო სათადარიგო ნაწილები. ავტომძღოლებს ხშირად მუშაობა უხდებათ ძველი მანქანებითა და საბურავებით, ბამაჯის კარიერებზე ხშირად არ არის ელექტროშემდუღებელი, ამიტომ დაზიანებული დეტალების შესადუღებლად ხშირად დიდ მანძილზე უხდებათ მანქანით წასვლა. ეს იწვევს დროის დაკარგვას, სამუშაოს გაცდენას.

სიტყვებით გამოსულმა მაღაროთა სამმართველოს დირექტორმა რ. ქენქაძემ და ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების უბნის უფროსმა გ. ბერაძემ სამართლიანად გააკრიტიკეს პარტიული ბიურო იმის გამო, რომ სამმართველოს ზოგიერთ უბანზე მოისუსტებდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ბიურო ნაკლებად ზრუნავდა პარტიული რიგების ზრდაზე, პარტიაში ახალი წევრთა მიღებაზე.

სამმართველოს 215 მუშა-მოსამსახურიდან თითქმის სამი მეოთხედი კომკავშირელი და მოწინავე უპარტიო მუშაკია, ისინი ღირსნი არიან ატარებდნენ კომუნისტის მაღალ სახელს. მაგრამ საანგარიშო პერიოდში პარტიის წევრობის კანდიდატად მხოლოდ ერთი კაცია მიღებული.

მნგრეველმა გ. ტაშჩიანმა, რომელიც უკვე 13 წელია დიატომიტის შახტის ზემო დასახლებაში ცხოვრობს, თქვა, რომ პარტბიუროს ნაკლებად ინტერესებდა მუშათა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობები. შახტის ზემო დასახლების მაღაზია კარგად არ მარაგდება ხორცის ნაწარმითა და სხვა სასურსათო საქონლით. კინოფილმებს რეგულარულად არ უჩვენებენ კისათბის მუშათა დასახლებასა და სოფელ შურდოში, სადაც ჩვენი სამოთელებიც ცხოვრობენ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს და საქმიანი წინადადებები წამოაყენეს აქატის კარიერების უფროსმა ე. ფოფხაძემ, აქატმომპოვებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა შ. ლომიძემ და სხვებმა.

კრებამ მაღალ იდეურ დონეზე ჩაიარა. კომუნისტებმა პარტბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განახორციელებლად ახალ არჩეულ ბიუროსა და ყველა კომუნისტს სერიოზული მუშაობა მოელით.

**შ. მაისურაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ ᲛᲔᲦᲧᲝᲤᲐᲜᲘ

(საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ქ. ბაგრამიანის დაბადების 70 წლისთავი)

სულ ცოტა დრო დასჭირდა შეთანხმებას სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან საბჭოთა კავშირის მარშალთან ი. ქ. ბაგრამიანთან შეხვედრის შესახებ. იგი თავმდაბალი და მეტად თავაზიანი კაცია და თავიდანვე უშუალო საუბარი გაგმართა.

უპირველეს ყოვლისა დავინტერესდი, როგორ გრძნობს თავს— იგი ხომ არც თუ პატარა ხნისაა.

— ყველაფერი წესრიგზეა, ყველაფერი ნორმაზეა, — ცოცხლად გვიპასუხა მარშალმა, თან ღიმილით დასძინა: ჩვენში, კავკასიაში, ხალხი სასიცოცხლო ძალების ისეთ მარაგს იღებს, რომ ჩვეულებრივ უფრო დიდხანს ჰყოფნის, ვიდრე სხვა ადგილებში...

რკინიგზელი მუშის ოჯახში აღზრდილი ივანე ბაგრამიანი ტექნიკურ განათლებაზე ოცნებობდა. მაგრამ შემდეგ შეცვალა გადაწყვეტილება და აგერ უკვე ორმოცდათორმეტი წელია ჯარისკაცის გზაზე მიანიჯავს.

— თუ ყოფილა ისეთი დღე, რომ გენანოთ ეს? — ვკითხე მარშალს.

— არ ყოფილა, — არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა მან. — არასოდეს არ მინანია, რომ ჯარისკაცის გზა ავირჩიე.

— როდის დაიწყო იგი?

მარშალმა ზუსტად დასახელა თარიღი: 1915 წლის 26 სექტემბერი. იმ დღეს სათადარიგო ქვეითმა ბატალიონმა, რომელიც ახალციხეში იდგა, ახალი შევსება მიიღო, რომელშიც იყო ახალგაზრდა ჯარისკაცი — მოსალისე ივანე ბაგრამიანი. და შემდეგ მას აღარასოდეს არ დაუტოვებია სამხედრო მწყობრი.

— კავკასიის ფრონტი. თბილისის პრაპორშჩიკთა სკოლა. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის სომხეთში... სწრაფად გაირბინეს საინტერესო მოვლენებით აღსავსე მობოქარმა წლებმა. შრომისუნარიანი და სამხედრო საქმით გატაცებული ახალგაზრდა ოფიცერი ბაგრამიანი შესამჩნევად მიიწევდა წინ სამსახურში. 1923 წელს იგი უკვე სომხეთის პირველი საკავალერიო პოლკის მეთაურია.

ცოდნისადმი მისწრაფება, რასაც ბავშვობიდანვე იჩენდა ძალიან გამოადგა არმიაში. მეთაურთა შემადგენლობას ბევრი და თან ბეჯითად უნდა ესწავლა, რომ არ ჩამორჩენოდა განვითარებადს სამხედრო მეცნიერებასა და ტექნიკას. ბაგრამიანი სასწავლებლად ლენინგრადში მიდის — უმაღლესი საკავალერიო სკოლაში. გადის კიდევ რამდენიმე წელი და ისევ სწავლა — ახლა უკვე მ. ვ. ფრუნზეს სახელობის აკადემიაში. 1938 წელს იგი ამთავრებს გენერალური შტაბის აკადემიას.

ღრმა თეორიული მომზადება ძალიან გამოადგა დიდი სამამულო ომის წლებში. ი. ქ. ბაგრამიანი მონაწილეობდა ომში — დაწყებიდან დამთავრებამდე. ომის უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში იგი მეთაურობდა ფრონტს. აქ განსაკუთრებით სრულად გამოვლინდა მისი მხედართმთავრული ნიჭი.

როგორ წარმოიდგენიათ სამამულო ომი ახლა, ოცზე მეტი წლის შემდეგ?

— არასოდეს არ დამავიწყდება ჩვენი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გმირობა, — თქვა მარშალმა. — მე ახლაც აღტაცებული ვარ მათი არაჩვეულებრივი მამაცობითა და სიმტკიცით, განსაკუთრებით ომის პირველ, ყველაზე მძიმე წელს. ყოველივე ამის ჯილდო იყო გამარჯვების წელი — ორმოცდასუთი წელი. მებრძოლ მეგობრებთან შეხვედრისას, მე, ისევე როგორც, ალბათ, ყველა ფრონტელი ამხანაგი, რა თქმა უნდა, ვიგონებ საბრძოლო საქმეებს, იმას, თუ როგორ ვიბრძოდით გამარჯვებისათვის. იგი ძვირად დაგვიჯდა. მინდა, რომ ეს ახსოვდეს ჩვენს ახალგაზრდა ახალგაზრდობას...

— ჩვენ არ გვინდა ომი — ეს ყველამ იცის, — ხაზი გაუსვა ი. ქ. ბაგრამიანმა. — საბჭოთა სახელმწიფო აქტიურად იბრძვის მშვიდობისათვის.

მაგრამ, თუ აგრესორები მაინც ატეხენ ომს, იგი საბედისწერო იქნება მათთვის. საბჭოთა არმიას ჰკავს სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული და ჩინებულად გაწვრთნილი პირადი შემადგენლობა. ჩვენი შეიარაღებული ძალები კარგად არიან აღჭურვილი პირველ ხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით.

— რაც გრძნობთ, როცა ნაწილებსა და შეკრებებს ესტუმრებით ხოლმე?

— სასიამოვნოა, რომ მწყობრში ვხედავ ახალგაზრდა ოფიცრებს, რომლებმაც გადაწყვიტეს მთელი სიცოცხლე შესწირონ ძნელ, მაგრამ საპატიო სამსახურს არმიაში. მსიამოვნებს, როცა ვხედავ ჩვენს მერკეტენ ჯარისკაცებს თუ მოტომბოლელებს, არტილერისტებს თუ ტანკისტებს, მედესანტეებს თუ ზურგის მეომრებს, რომლებიც საქმის ცოდნით, სწრაფად და ზუსტად ასრულებენ თავიანთ მხედრულ მოვალეობებს. ყოველთვის გვახარებს არმიის კოლექტივების საბრძოლო მეგობრობა და შეკავშირება...

აი უკვე თითქმის ათი წელია საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ზურგის უფროსია. მისი ხელმძღვანელობით ეს უმნიშვნელოვანესი სამსახური რეორგანიზებულია და გარდაიქმნა იმ ცვლილებათა შესაბამისად, რომლებიც ამ ბოლო დროს მოხდა არმიაში და ფლოტში. ზურგმა მიიღო თანამედროვე სტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა.

ხნოვანების მიუხედავად, ივანე ქრისტოფორეს-ძე ბაგრამიანი თავს მხნედ გრძნობს და ძალ-ღონით აღსავსეა.

— ჩემს 70 წლისთავთან დაკავშირებით, — თქვა მარშალმა, — მინდა აღვნიშნო, რომ ყველაფერს, რასაც მივაღწიე, ყველაფერს, რაც გავაკეთე, უნდა ვუმადლოდე საბჭოთა ხელისუფლებას, კომუნისტურ პარტიას, მათ მომცეს შესაძლებლობა, იაზეკროროდ ყოველ საბჭოთა ადამიანს, გამომჭედავდნენ ჩემი უნარი, ვიმედოვნებ, რომ კიდევ გავუწევ სამსახურს სამშობლოს, რათა ჩემი გამოცდილება და ცოდნა გავუზიაროთ ჩვენს შემცვლელ თაობას.

— რა გსურთ უთხრათ იუბილეს წინ თქვენს თანამემამულეებს?

— მე დავიბადე და გავიზარდე აზერბაიჯანში. მრავალ წელს ვცხოვრობდი და ვსწავლობდი საქართველოში. იარაღით ხელში ვიბრძოდი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის სომხეთში. ასე, რომ ამ რესპუბლიკების მიმართ ჩემს გულში დაისადგურა ძმურვალე მადლიერების გრძნობამ. მინდა გულითადი სალამი გადავცე და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ჩემს ძვირფას თანამემამულეებს, ყველა მეგობარს აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში.

**ა. მედვედევი.**

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲘᲣᲠᲘᲡᲞᲠᲣᲓᲔᲜᲪᲘᲘᲡ** დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება:

**ალხაზიშვილს** მიხეილ ვიქტორის-ძეს — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

**ბარამიას** ალექსანდრე ილიმორეს-ძეს — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

**ბარამიძეს** ნინო გიორგის ასულს — თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

**ბასიშვილს** ზაქარია როსტომის-ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსს.

**ბალათურიას** დავით ისიდორეს-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

**ბეკიევს** ალექსი ნიკოლოზის-ძეს — სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს წევრს.

**ბორეიშას** ემვთიმე ვლადიმერის-ძეს — ა/კ წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პროკურორის უფროს თანაშემწეს.

**ბოთერაშვილს** გიორგი რაფიელის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების უფროს რეფერენტს.

**გვათუას** იპოლიტე ტარიელის-ძეს — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლეს.

**გიგაურს** ანდრო იოსების-ძეს — პერსონალურ პენსიონერს.

**გიგინეიშვილს** ნიკოლოზ გიორგის-ძეს — თბილისის 26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

**გიორგაძეს** დავით ილიას-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

**გოგუაძეს** ენვერ გრიგოლის-ძეს — მახარაძის რაიონის პროკურორს.

**დავთიაიას** ნიკოლოზ კირილეს-ძეს — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს.

**თუხარელს** დავით ანდრიას-ძეს — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრს.

**იაკობაშვილს** მიხეილ აბიათარის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის კონსულტანტს.

**კანდელაკს** ლიდა ოქროპირის ასულს — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორს.

**კვარაცხელიას** თამარ ბათლომეს ასულს — საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების უფროსს.

**მაისურაძეს** ვლადიმერ ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

**მამულიას** ბესარიონ ანდროს-ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორს.

**მეზურნიშვილს** თენგიზ გიორგის-ძეს — ა/კ წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პროკურორის თანაშემწეს.

**მირიანაშვილს** ნინო გრიგოლის ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

**ნაზარიანს** ბალასან თათევოსის ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროს კონსულტანტს.

**პაპიტაშვილს** ვლადიმერ ვასილის-ძეს — ა/კ წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს.

**სამოელაძეს** ივანე ილარიონის-ძეს — თბილისის ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს.

**ფალავანდიშვილს** აპოლონ ვლადიმერის-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

**ქავთარაძეს** კონსტანტინე ფარნაოზის-ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს.

**ღვინჭილიას** ვლადიმერ ნესტორის-ძეს — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

**შამბას** მირონ მიხეილის-ძეს — სოხუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

**ჩხატარაშვილს** შალვა იოსების-ძეს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

**ცქიფურიშვილს** მიხეილ ვასილის-ძეს — ქუთაისის პროკურორის მოადგილეს.

**ძამიევს** სერგო კონსტანტინეს-ძეს — ა/კ წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ტრიბუნალის წევრს.

**ჭანტურიას** შოთა ბეგოს-ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს.

**ჯავახიას** აკაკი ფარნაოზის-ძეს — თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს.

**ჯაფარიძეს** სიმონ ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის განყოფილების უფროსს.

**ჯინჯიხაშვილს** იაკობ მეერის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის უფროს კონსულტანტს.

**ჯომდავარ** აკაკი ალექსის-ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ზ. კვაშაძე.**

თბილისი,
1967 წლის 29 ნოემბერი.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

## ᲣᲜᲣᲒᲔᲨᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

**ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ** შესრულდა, რაც ბონში არსებობს „დიდი კოალიციის“ მთავრობა, რომელშიც შეივიდნენ მსხვილი კაპიტალის პარტია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირ — ქრისტიანულ-სოციალური კავშირი და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია. მის შედგენას, რაც ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა კიზინგერმა მაშინ მთავრობის განცხადებაში უწოდა მოვლენა, „რომელთანაც დაკავშირებულია გერმანელი ხალხის მრავალი იმედი და საზრუნავი“.

მშრომელთა უფლებებზე შეტევა, „საგანგებო კანონების“ მიღება, რომლებმაც უნდა ჩაახშონ დემოკრატიულ თავისუფლებათა ნაშთები, ქვეყნის მილიტარიზაციის განგრძობა, ფაასების ზრდა — საშინაო პოლიტიკაში; იმპერიალისტური ბანაკების ჩამოყალიბება, ევროპაში შექმნა მეორე მსოფლიო ომის შედეგად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ფაქტის უფულებელყოფა, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მხარდაჭერა ვიეტნამში, მოწონება ისრაელის აგრესიისა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ — საგარეო პოლიტიკაში — აი ის შედეგი, რომელიც „დიდ კოალიციას“ შეუძლია შეჯამოს განვლილი წლის მანძილზე.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ ამ უკანასკნელ წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიზარდა ნეონაცისტური ძალები, რომლებიც გაერთიანდნენ ე. წ. „ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში“. სარგებლობს რა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერთა წაყრუებით, რომლებიც ტონის მიმცემი არიან „დიდი კოალიციის“ მთავრობაში, ეს პარტია უკვე არ მალავს თავის ნამდვილ მიზნებს. ნაციონალ-დემოკრატიული პარტია ამკარად მოითხოვს ქვეყნის მილიტარიზაციის მკვეთრად გაძლიერებას სამხედრო დანშაგეთა სრულ რეაბილიტაციას, ევროპის რუკის გადაკეთებას.

რაც შეეხება ბონის მიერ ფართოდ რეკლამირებულ „აღმოსავლეთის პოლიტიკას“, როგორც დასავლეთ გერმანიის დპას საგანგებო აღნიშნავს, აქაც ერთი წლის არსებობისას „დიდმა კოალიციამ“ ვერ მიაღწია საგრძნობ შედეგებს. (საკდესი).

## ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲢᲔᲝᲓᲝᲠᲐᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

## ᲓᲐᲘᲙᲐᲠ�გᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** (საკდესი). პოლკოვნიკი ფრანსისკო კაამანო, დომინგოს რესპუბლიკის სამხედრო ატაშე ინგლისში, საიდუმლო ვითარებაში დაიკარგა. როგორც ასოციეტედ პრესის სააგენტო იუწყება, დომინგოს საელჩოს თანამშრომლებმა პოლკოვნიკი უკანასკნელად ლონდონში ნახეს პირველ სექტემბერს. ოქტომბრის შუა რიცხვებში იგი ჰაგაში იყო. მას შემდეგ არ უნახავთ. კაამანოს ცოლმა სთხოვა დომინგოს ხელისუფალთ მოძებნონ მისი ქმარი.

1965 წელს კაამანო მეთაურობდა თავისი ქვეყნის კონსტიტუციონალისტურ მთავრობას, რომელიც ილაშქრებდა რეაქციონერ გენერალთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ სამხედრო დიქტატურა დამყარებინათ რესპუბლიკაში, აგრეთვე გამოდიოდა დომინგოს რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ.

დომინგოს რევოლუციური და სოციალ-ქრისტიანული პარტიების წარმომადგენლებმა ნიუ-იორკის გაზეთ „ტაიმსთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადეს, რომ ახლა გენერლებმა „პოლკოვნიკ კაამანოს მოკვლის განკარგულება გასცეს“.

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** 1 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ საკითხთა და უშიშროების საკითხთა კომიტეტში დანთავრდა „ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ კონვენციის დადების“ საკითხის განხილვა. კომიტეტი ვარაუდობს მოაწყოს კენჭისყრა რეზოლუციის შესაბამისი პროექტის გამო ორშაბათს, 4 დეკემბერს.

ასეთი კონვენციის საკითხი ასამბლეის დღის წესრიგში შეიტანა საბჭოთა კავშირმა. განხილვის დროს გამოსული 30 ორატორიდან უმრავლესობამ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის ინიციატივას.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ლ. ი. მენდელევიჩმა აღნიშნა, რომ ასეთი კონვენცია მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საყოველთაო და სრული განიარაღების გზაზე.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა უარყო მოსაზრებანი ატომური იარაღის გამოყენების კონვენციის დადების წინააღმდეგ, რომლებიც კომიტეტში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებმა გამოთქვეს. ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ კონვენცია „არარეალისტური ნაბიჯია“, რომელიც თითქოს ლახავს სახელმწიფოთა უშიშროებას. ასეთი შენიშვნები, თქვა საბჭოთა კავშირმა, წარმომადგენელმა, ცხადყოფენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები კვლავ „ძალისა და დაშინების ბალანსის“ პოზიციებზე დგანან.

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** 1 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატებისა და ინგლისის მუდმივი წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გუშინ ეწვივნენ გენერალურ მდივანს უ თანს და შესანანახად ჩაბარეს ხელშეკრულება კოსმოსური სივრცის, კერძოდ მთვარისა და სხვა ციური სხეულების კვლევასა და გამოყენებაში სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ.

ხელშეკრულებას, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა 1966 წლის 19 დეკემბერს, მიმდინარე წლის 27 იანვარს მოაწერეს ხელი მოსკოვში, ვაშინგტონსა და ლონდონში.

## ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** 1 დეკემბერი. საკდესი. კორესპონდენტი ი. აბლამოვი იუწყება: ამერიკის პრესის აზრით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის ვენსისა და ნატოს გენერალური მდივნის ბროზიოს ღონისძიებანი კვიპროსის კონფლიქტში მიზნად ისახავდნენ თავიდან აეცილებინათ ახალი უაღრესად მწვავე კრიზისი ჩრდილოატლანტიკური ბლოკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგზე. მით უმეტეს, რომ ჩრდილოატლანტიკურ ბლოკს უამისოდაც ღრნიან წინააღმდეგობანი. ამასთან დაკავშირებით გაზეთები აღნიშნავენ, რომ ვენს-ბროზიოს „მშვიდობისმყოფლური“ მისიის ამოცანებში შედიოდა არა კვიპროსის პრობლემის გადაჭრის გზების, არამედ რომელიმე სამხედრო ტიპის სალიტავების გამოძებნა, რაც დროებით შეასუსტებდა დაძაბულობას ამ რაიონში.

როგორც ამერიკის პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატია მოელის, რომ კვიპროსის კონფლიქტში ასლანდელი ჩარევით გაიძლიერებს ზეგავლენას ხმელთაშუა ზღვის ამ ნაწილში. ვაშინგტონს, კერძოდ, განზრახული აქვს გააძლიეროს ჩარევა კვიპროსის საქმეებში. იუნანიტედ პრეს ინტერნეშნლის საგაგეტო იუწყება, რომ დასავლეთის ქვეყნების დიპლომატთა ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაიწყო თათბირების სერია, რომელთა მიზანია აღძრან საკითხი კვიპროსში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების კონტინგენტების რიცხვის გადიდების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერენ ამ იდეას, აღნიშნავს გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“.

## ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** 1 დეკემბერი. (საკდესი). 20 მილიონ ამერიკელი ლატაკურად ცხოვრობს ქალაქის ჯურღმულებში, განაცხადა პრეზიდენტმა ჯონსონმა, როცა გუშინ გამოდიოდა ბიზნესმენ ჰოვარდ სამუელსის მიმოწერის ბიუროს ხ

# ვაშა თქვენს ხელოვნებას, მეგობრებო!




## მეგობრული შეხვედრები გრძელდება

ერთი კვირაა საქართველოში გრძელდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები. ამ ხნის მანძილზე საზღვარგარეთელი სტუმრები გაეცვნენ რესპუბლიკის ბევრ საწარმოს, იყვნენ რუსთავში, ბათუმში, სოხუმში. და აი, პირველ დეკემბერს ისინი ეწვივნენ თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანას — კომუნისტური შრომის საწარმოს, საქართველოს კვების მრეწველობის ერთ-ერთ მოწინავე კოლექტივს.

...შუადღისას მანქანების კორტეჟი შეავიდა ქარხნის ტერიტორიაზე. ჭიშკრის თაღზე გაკრულია ტრანსპარანტი: „გაუმარჯოს მშვიდობას, მეგობრობასა და სოციალიზმს!“ აქ მოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის, სახელმწიფო მდივნის ჰორსტ ბრაშის მეთაურობით, ქართველ მშრომელებთან შესახვედრად მოვიდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის ხელოვნების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ალფრედ კურელა, ლაიფციგის საოლქო სბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვერნერ ვოლფი, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის მდივანი ჰელმუტ შეფერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ირენე გიზი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ქალაქ ბერლინის მთავარი რაიონის რაიკომის პირველი მდივანი ჰორსტ პალმი და ოფიციალური დელეგაციის სხვა წევრები.

სტუმრებს შეხვდნენ შამპანური ღვინოების ქარხნის დირექტორი გ. ახვლედიანი, ამ საწარმოს მოწინავე მუშაკები.

ქარხნის კლუბში გაიმართა საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელიც გახსნა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა პ. მამალაძემ.

ტრიბუნაზეა ქარხნის დირექტორი გ. ახვლედიანი. საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა სახელით იგი მხურვალედ მიესალმა გერმანელ მეგობრებს და დიდი მადლობა გადაუხადა ქარხანაში სტუმრობისთვის. მან სტუმრებს უამბო, რომ საწარმო ყოველწლიურად უშვებს რვა მილიონ ბოთლ შამპანურს, რომლის მერვედი ეგზავნება სოციალისტურ ქვეყნებს, მათ შორის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. გ. ახვლედიანმა სტუმრებს გაუზიარა აგრეთვე მომავალ ქვეყანაში ყოფნის შთაბეჭდილებანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს ძმური სალამი შეუთვალა ქარხნის პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ ო. ერგენდელაშვილმა. მიტინგზე გამოვიდა აგრეთვე საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლ. ძიძიგური.

საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების მონაწილეთა სახელით შეკრებილთ მიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ქალაქ ბერლინის მთავარი რაიონის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰორსტ პალმმა.

— ჩვენი დელეგაცია, — თქვა მან, — აღტაცებულია თქვენი რესპუბლიკის სილამაზით, თქვენი ხალხის სულიერი სილამაზით. ამ ხანმოკლე ვიზიტის დროს ჩვენ უკვე დავუმეგობრდით მზიური საქართველოს ბევრ მშრომელს. როცა სამშობლოში დავბრუნდებით, ვუამბობთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომ საბჭოთა კავშირში მათ ჰყავთ ნამდვილი მეგობრები და კეთილისმსურველები.

ამხანაგი ჰორსტ პალმი შეეხო იმ პრობლემებს, რომლებიც ახლა აწუხებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს, შეეხო მის ბრძოლას მშვიდობისა და სოციალიზმისათვის. მან ქარხნის კოლექტივს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

მიტინგი საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

მიტინგის შემდეგ გერმანელმა სტუმრებმა დაათვალიერეს საწარმო. ახსნა-განმარტებას იძლეოდა გ. ახვლედიანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალურ დელეგაციას ახლდა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი.

• • •

თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა სტუმრებს უჩვენეს თავიანთი ხელოვნება. კონცერტში მონაწილეობდა აგრეთვე დრეზდენის ვოკალისტ სტუდენტთა ჯგუფი. მათ შეასრულეს გერმანული, საბჭოთა და ქართული ხალხური სიმღერები. დამსწრეებმა მჭუხარე ტაშით დაჯილდოვეს ისინი. (საქდესი).

სურათზე: თბილისელები ინტერესით ეცნობიან გერმანული შუშის გამოფენას, რომელიც მოწყობილია სურათების გალერიაში. ფოტო ს. კილაძისა.

## ეცნობიან ქართულ ხელოვნებას

**გუშინ, 1 დეკემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალურმა დელეგაციამ დათვალიერა საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.**

**სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ მუზეუმის ყველა განყოფილებას. მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ძველ ქართველ ოქრომჭედელთა ნამუშევრებმა.**

**მუზეუმის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ამირანაშვილმა, რომელმაც სტუმრებს გააცნო მუზეუმის ექსპონატები, უპასუხა მათ ბევრ შეკითხვაზე. (საქდესი).**

## დღეს მოისმენთ

**გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები საქართველოში დასასრულს უახლოვდება. თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში ერთ კვირაზე მეტს სადღესასწაულო განწყობილება სუფევდა. საქართველოს მშრომელები ინტერესით ეცნობოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნებას,

სტუმრებმა თავის მხრივ ჩვენი რესპუბლიკა გაიცნეს. იყვნენ ქარხნებში, საწარმოებში, მუზეუმებსა და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში. სასიხარულოა, რომ საქართველოს ბუნება სასიამოვნო, კარგი დარით შეხვდა სტუმრებს.

**ხვალ** რუსთაველის სახელობის თეატრში საზეიმოდ დაიხურება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დღეები საქართველოში. **დღეს** კი თბილისში გერმანელ მეგობართა კიდევ რამდენიმე გამოსვლის ვნახავთ. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ნაჩვენები იქნება ვერდის ოპერა **„აიდა“**, რომელშიც ამნერისის პпартიას შეასრულებს **ზიგრიდ კელი.** საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზამთრო თეატრში გამოვლენ **მადრიგალისტები** ქალაქ ჰალეიდან, რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში კი დრეზდენის შტაატსკაპელეს **როტ-კვარტეტი,** ხოლო დიდ სცენაზე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის **საესტრადო ორკესტრი ბ. გოლაშის** ხელმძღვანელობით.

## სტუმრად გულრიფშში

**სოხუმი.** (საკ. კორ.). 30 ნოემბერს სტუმრები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკიდან, რომლებიც აქ იყვნენ საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებთან დაკავშირებთან, გაეცვნენ გულრიფშის რაიონს.

დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე, სახელმწიფო მდივანი **ჰორსტ ბრაში,** იყო დრანდის ჩაის ფაბრიკაში. სტუმრებს ახლდნენ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **მ. ხვარწკია,** სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ი. კვიცინია,** საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ა. გვარამია** და აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი **ნ. კიუტი.**

დრანდის ჩაის ფაბრიკის დირექტორმა **შ. ნავეყებიამ** სტუმრებს გააცნო ქართული ბაიხაო ჩაის წარმოების ტექნოლოგია, აგრეთვე საქართველოს ჩაის მრეწველობის ამ მაღალტექნიკური საწარმოს მუშაობა.

შემდეგ სპატიო სტუმრები ეწვივნენ გულრიფშის ალიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობას. კულტურის სახლში მათ დაათვალიერეს გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევათა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

ამის შემდეგ დაათვალიერეს მეურნეობის ციტრუსების პლანტაციები, ესაუბრნენ მუშებს. მეურნეობის მშრომელებთან გამოთხოვებისას გერმანიის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა **ჰაინც ფრანკეკვიჩმა** განაცხადა:

— ჩემი სამშობლო ბერლინია, ქალაქი, რომელიც გაათავისუფლა ფაშიზმისაგან საბჭოთა არმიამ. მიგდიხართ საქართველოდან და გერმანელი ხალხისათვის თან მიგიგიქვს საბჭოთა ადამიანების მეგობრული, გულთბილი გრძნობები და სურვილები.

გერმანელმა სტუმრებმა მეურნეობის მუშაკებს მიართვეს სამახსოვრო სუვენირები, აგრეთვე მეურნეობის ხელმძღვანელებს მიაწოდეს დრეზდენის ინსტიტუტის სპპატიო წიგნი, რათა გაეკეთებინათ თავიანთი ავტოგრაფები.

გერმანელი სტუმრები გვიან ღამით გულთბილად გაეცალნენ სოხუმელებმა თბილისისაკენ.

## მაღალი ოსტატობა

### გერმანელი მუსიკოსების კონცერტი თბილისსა და ქუთაისში

**30 ნოემბერს** ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა დრეზდენის შტაატსკაპელის სასულე კვინტეტის გამოსვლა. კვინტეტის შემადგენლობაში არიან ი. ვალტერი (ფლეიტა), ა. ტოლკსდორფი (ჰობოი), მ. ვიუნშე (კლარნეტი), გ. შაფრატი (ვალტორნა) და ჰ. ვალერი (ფაგოტი).

კვინტეტის რეპერტუარში იყო ოტო რაინგოლდის „სასულე კვინტეტი“, დებიუსის „სირინკსი, სოლო ფლეიტისათვის“, ონეგერის „თიქნის ცეკვა, სოლო ფლეიტისათვის“ ანტონ რაიხას „სასულე კვინტეტი მიბემოლ მაჟორი“, სტამიცის „კვარტეტი“, მიიოს „შეფე რენეს გზა“ (სიუიტა სასულე კვინტეტისათვის). მსმენელებმა მხურვალე ტაშით დაჯილდოვეს სტუმრები დიდებული შესრულებისათვის.

საქდესის კორესპონდენტმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტებს, კომპოზიტორებს ვ. გოკოელს, ო. გაბიჩვაძესა და დირიჟორ ფ. მირსულთვას სთხოვა გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილებანი. სამივეს აზრი თითქმის ერთნაირი იყო. უწინარეს ყოვლისა მათ აღნიშნეს შესრულების მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი გემოვნება, ნაწარმოების აზრის ღრმა გაგება. მათ ხაზი გაუსვეს კვინტეტის მაღალ მუსიკალურ კულტურას. (საქდესი).

**ამავე დღეს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით წარადგა მსმენელთა წინაშე ომმღერალი ზიგრიდ კელი. გერმანელი სოლისტი, რომელიც გამოირჩევა მშვენიერი ხმით და მაღალი საშემსრულებლო კულტურით არაერთხელ დაჯილდოვეს მხურვალე ტაშით.**

**ქუთაისი,** 1 დეკემბერი. (საქდესი). აქ სამ დღეს იყვნენ გერმანელი ხელოვნების წარმომადგენლები. 28 ნოემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საესტრადო ორკესტრმა გიუნტერ გოლაშის ხელმძღვანელობით კონცერტი გამართა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში, ხოლო 29 ნოემბერს — ფილარმონიის თეატრში. მსმენელებმა მჭუხარე ტაშით დაჯილდოვეს მოსკოვის 1966 წლის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, თანამედროვე საესტრადო სიმღერების შემსრულებელი კრისტელ შულეი, ორკესტრის სოლისტები კრის დიორგი და ფრანკ შებელი.

30 ნოემბერს ფილარმონიის თეატრში გაიმართა ჰალელ მადრიგალისტთა კონცერტი.

ქუთაისელები გულთბილად შეხვდნენ გერმანელ მეგობრებს.

**სურათებზე: ზემოთ — მღერის ზიგრიდ კელი; ქვემოთ — ესტრადაზეა დრეზდენის სახელმწიფო კვარტეტის სასულე კვინტეტი.**

ფოტო ვლ. გინზბურგისა და მ. შოშიაშვილისა.



## გერმანული ფილატელია

მშრმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფილატელისტური გამოფენა გაიხსნა „სოიუზმეჩატის“ აფხაზეთის საოლქო განყოფილებაში. გამოფენა ეძღვნება საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებს. ლამაზად გაფორმებულ სტენდზე მოთავსებულია მარკების თემატური ჯგუფები. თითოეული მათგანი ამუქებს ასალგაზრდა დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს ისტორიას. ყველა მარკა ასახავს გერმანელი სპორტსმენების, მეცნიერების, ხელოვნების ცხოვრებას, მის მეგობრობას სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან. მარკების მთელ სერიაზე აღბეჭდილი არიან გერმანიის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწენი, — კლარა ცეტკინი, როზა ლუქსემბურგი, კარლ ლიბკნეხტი, ერნსტ ტელმანი, ვილჰელმ პიკი, ოტო გროტეგოლი. პირველი ორი დღის განმავლობაში გამოფენა ოთხი ათასმა კაცმა დაათვალიერა. (საქდესი).



სურათებზე: კადრი ფილმიდან „გაქცევა დუმილში“, რომელიც ჩვენმა კინომაყურებლებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოფესტივალის დღეებში ნახა.

## გერმანული წიგნის თარო

### „ჰერმან და დოროთეა“

**მხოლოდ** რამდენიმე დღეა დედაქალაქის წიგნის მაღაზიებში გამოჩნდა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ პოლიგრაფიულად საუკეთესოდ გამოცემული წიგნი — დიდი გერმანელი მწერლის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს პოემა **„ჰერმან და დოროთეა“** (რედაქტორი დ. ლაშქარაძე, მხატვარი ი. დიკოროგორცევა-გრიგოლია, გვ. 166, ფასი 42 კაპ.).

გოეთეს პოემა გერმანულიდან ქართულ ენაზე თარგმნა და შენიშვნები დაურთო **ვახტანგ ბენუკიძემ,** რომელსაც ქართველი მკითხველი საზოგადოებრივობა კარგად იცობს როგორც გოეთეს, შილერის და სხვა გერმანელი მწერლების ნაწარმოებთა საუკეთესო მთარგმნელს.

მთარგმნელის მოკლე ანოტაციაში აღნიშნულია, რომ „ჰერმან და დოროთეას“ (1797 წ.) როგორც ეპიკურ ძეგლს, გარკვეული ადგილი უჭირავს გოეთეს შემოქმედებაში. მიუხედავად რევოლუციისადმი ერთგვარი უარყოფითი დამოკიდებულებისა, მიუხედავად იმისა, რომ გოეთეს ერთი საზოგადოების მეორით შეცვლა რევოლუციური აფეთქებათა გზით უნაყოფო და დამანგრეველ მოვლენად მიიჩნდა, ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს დიდი მწერლისა და მოაზროვნის შემდეგი სიტყვები:

„ნუთუ გგონიათ, გულგრილად ვუცქერი სამშობლოს, ხალხის თავისუფლების დიად იდეებს? არა, ეს იდეები სისხლხორცეულია ჩვენთვის, ისინი ნაწილია ჩვენი არსებისა და მე როგორ შემიძლია მათი უარყოფა?!

პოემას წამძღვარებული აქვს გოეთეს ცნობილი ელეგია „ჰერმან და დოროთეა“, რომელიც ლირიკულ გასაღებს წარმოადგენს ამ ეპიკურ სამყაროში შესასვლელად.

### „მიჯაჭვული ტიტანი“

**ჩვენი** მკითხველისათვის ცნობილია ის ნაყოფიერი მუშაობა, რასაც აკაკი გელოვანი ეწევა როგორც მწერალი და მთარგმნელი. ამ კეთილსინდისიერი, დაუღლელი მუშაობის მორიგი ნაყოფია გერმანელი მწერალი ქალის **როზამარია შუდერის** რომანის **„მიჯაჭვული ტიტანის“** თარგმანი და მთარგმნელისაგე შესავალი წერილი (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. რედაქტორები ლ. ცოტაძე, ნ. ასათიანი, მხატვარი ჯ. უაკლაშვილი).

„მიჯაჭვული ტიტანი“ მიქელანჯელოს ცხოვრების ვრცელი სურათია. მთარგმნელის შესავალ წერილში მოკლედ, ნათლად და ორიგინალურად არის დახასიათებული დიდი აღორძინების ეპოქა, ხატოვანი ენით, მკაფიო სტილით ბორცშესხმულია აზრისა და ნებისყოფის ტიტანთა ღვაწლი.

კარგი მხატვრული ზომიერებით უხატავს ავტორი შესავალ წერილში მკითხველს იმ ეპოქის სურათს, რომლის ფონზეც შუდერი შლის მიქელანჯელოს ცხოვრების რომანს, — დროს, რომლის შესახებაც ენგელსი წერდა: „ეს იყო საუკუნე, რომელსაც სჭირდებოდა ტიტანები და რომელმაც შვა ტიტანები — აზრის, მისწრაფებისა და ხასიათის, მრავალმხრივობისა და განსწავლულობის ტიტანები“.

გერმანულ ენაზე წიგნის სათაურია „მიჯაჭვული“. მთარგმნელი სწორად მოქცეულა, როცა ქართულად რომანისათვის „მიჯაჭვული ტიტანი“ უწოდებია.

აღსანიშნავია, რომ ქართულია პირველი ენა, რომელზეც ეს ექვსსაგვერდიანი რომანი ითარგმნა — ორი ტომი ერთ წიგნად.

როცა წიგნს კითხულობთ, იგრძნობა მთარგმნელის „კარგი გემოვნება, ორივე ენის“ საფუძვლიანი ცოდნა, სიტყვის ზომა და კულტურა. შესაფერისი ხატოვანი თქმებია მოძებნილი გერმანული იდიომების, ანდაზებისა და ფრაზეოლოგიის გადმოსაცემად.

მიქელანჯელოს ცხოვრების ასე ვრცელი სურათი არც ერთ სხვა მწერალს არ მოუცია, თანაც ეს თანამედროვე დემოკრატი მწერლის თვალით დანახული ტიტანის ცხოვრება და შემოქმედებაა. შუდერის რომანის თარგმანი კარგი სარჩენია ქართველი მკითხველისათვის.

ამ დღეებში ა. გელოვანმა რომანის ავტორისაგან მიიღო წერილი, რომელშიც როზამარია შუდერი წიგნის ქართულ ენაზე მთარგმნელს წერს:

„დიდი სიხარული მომიტანა თქვენმა წერილმა. მართალი ხართ, თქვენ ხართ პირველი, ვინც ჩემი რომანი მიქელანჯელოზე თარგმნეთ, და თავისთავად გასაგებია, ჩემთვის მშვენიერი პატივია იმის გაგება, რომ „ტიტანი“ თბილისის ცის ქვეშ პირველ ნაბიჯებს დგამს. უსაზღვროა ჩემი ცნობისმოყვარეობა, იქნებ შემატყობინოთ, როგორ შეხვდა ჩემს შრომას თქვენი ქართველი მკითხველი...

რაზე მუშაობთ, როგორია თქვენი უახლოესი გეგმები? მე უკვე შემიძლია გითხრათ, რომ დავასრულე დიდი შრომა, აგრეთვე ისტორიული რომანი, მიუსტერელ ანაბაპტისტებზე... ჩემი შრომა ჯერ დეკემბერში გამოქვეყნდება „ნოე ბერლინერ ილუსტრირტენში“, ხოლო 1968 წელს გამოვა ცალკე წიგნად. ახლა განწყობილი ვარ სამოგზაუროდ და ამ წიგნის შემდეგ გეგმაში ბუნებრივია შევიტანთ თბილისს, რადგან ჩვენ, მე და ჩემი ქმარი, რომელიც აგრეთვე მწერალია, ცნობისმოყვარე ადამიანები ვართ“.

ლ. კიკნაძე.

## მებრძოლი კინოხელოვნება

### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოფესტივალი თბილისში

**გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის **კინომატოგრაფია** იშვა უმძაფრესი იდეოლოგიური ბრძოლის ქარცეცლში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, როგორც შთამაგონებელი ხელოვნება ერის სულიერ ტკივილთა დაუუჩეხისა და განკურნებისა.

ეს მებრძოლი სული, ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი შემართება, ლტოლვა, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკისაკენ პირდაპირ ნაკარნახევ-ნაბრძანები იყო იმ მწარე ისტორიული სინამდვილით, რომელშიც გერმანელი ხალხი აღმოჩნდა ომის შემდეგ.

ფაშისტური გერმანიის დამხობის შემდეგ შეიცვალა ფაშიზმთან ბრძოლის ფორმა და არა მიზანი, მიზანი, რომელიც იმ „აუფეთქებელი ბომბების“ სრულ განმუხტვა-განაღგურებას ისახავს, ფაშიზმმა რომ დატოვა როგორც კაცობრიობის იდეოლოგიამ, იმ სამარცხვინო ლაჩის მოსაწმენდად არის გამიზნული, რომელიც მანიაკი ჰიტლერის ხროვამ მემკვიდრეობად დაუტოვა დასავლეთგერმანელ რევანშისტებს.

აი რკალი თემატიკისა, რამაც იმთავითვე განაპირობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოხელოვნების ერთიანი, მტკიცე იდეური მიზანდასახულობა, და თუ ერთგვარად მოსალოდნელის მიუხედავად, სულაც არ მივიღეთ თემატურად და მხატვრულად მოსაწყენი ერთფეროვნება, ეს უკვე ჩვენი მეგობრების ნამდვილი შემოქმედებითი ნიჭისა და ტალანტის ნათელი დადასტურებაა.

ამავე უნარმა და უტყუარმა ალღომ შთააგონა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფისტებს არ წასულიყვნენ იოლი (მხატვრული თვალსაზრისით) და მცდარი (მოქალაქეობრივი თვალსაზრისით) გზით, არც კი ეცადათ მიეჩქმალათ, მიეფუჩეჩებინათ წარსული, რაოდენ მძიმე მოსაგონიც არ უნდა იყოს იგი. პირიქით, მათ თავიდანვე აშკარად წამოაყენეს ე. წ. ფაშისტურ წარსულთან ანგარიშგასწორების პრინციპი და დაუნიშნეთ შეუდგნენ რაც შეიძლებოდა ღრმა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ანალიზი მოეცათ იმისა, თუ რატომ მოხდა და რატომ **არ უნდა განმეორდეს** ყოველივე ეს.

სწორედ ასე შეიქმნა რესპუბლიკაში პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული (და არა მხოლოდ ანტიფაშისტური) ფილმები: „მკვლელები ჩვენს შორის არიან“ და „როტაცია“ ანუ „უავიფერი ანლაბუდა“ (რეჟისორი ვოლფგანგ შტაუდტე), „ქორწილი ჩრდილში“ (რეჟისორი კურტ მეტცაიგი) და სხვები, რომლებშიც ცალკეულ ადამიანთა თუ ოჯახთა ბედის მაგალითზე მხატვრული დამაჯერებლობით არის ნაჩვენები ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედიათაგანი, რაც კი ადამიანს გადახდენია ოდესმე.

**პუბლიკის კინოდოკუმენტალისტები.** ყველასათვის ცნობილია ხალვეში ანელ და ანდრე ტორნდაიკებისა, რომელთაც ხუთი წლის დაუღალავი შრომის შედეგად შესანიშნავი კინოეპოპეა („რუსული სასწაული“) შექმნეს ჩვენს დიად სამშობლოზე და ამით უკვდავი ჰიმნი უმღერეს საერთოდ თავისუფლებისა და ბუმანიზმის ძლევამოსილებას.

აგრძელებს თუ არა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოხელოვნების ამ ძირითად თემირთულებას ფესტივალი, რომელიც ამჟამად თბილისში მიმდინარეობს?

კითხვას მაყურებელიც უპასუხებს დადებითად. ჩვენ მხოლოდ ერთს დავუმატებთ. გერმანელ მეგობრებს, ამავე დროს, საფესტივალო პროგრამის შედგენასას ამაზეც უზრუნიათ, რომ ეანრობრივი თვალსაზრისით რაც შეიძლება მრავალფეროვნად წარმოედგინათ თავიანთი კინემატოგრაფია.

ფესტივალის პროგრამაში სულ 7 ახალი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. მათ შორის, ზოგადი კლასიფიკაციით თუ ვიხარგებლებთ, არის როგორც ჩვეულებრივი დეტექტივი „პანსიონი ბულანკა“ (რეჟისორი ჰელმუტ კრეტცგი, სცენარისტები კურტ ბორტფელდი და ჰ. კრეტცგი, მთავარ როლებში ერიკა პელეიოვსკი და ქრისტიანა ლასარი), ისე სპორტული „ოგონოკ ტრამპლინზე“ (რეჟისორი კურტ მეტცაი, სცენარი რალფ კნებელიხა, სპორტის ოსტატ ქრისტიანა ლანცკეს მონაწილეობით), თუ ცარის მსახიობთა ცხოვრების ამსახველი „შავი ავაზა“ (რეჟისორი ოზეფ მახი, სცენარის ავტორები დ. რიხტერი და ბ. ბერნდტი, მთავარ როლებში ა. ვალერი, ჰ. ბასე, ქრ. ლასარი), კინორეჟისორ ეკან ფიშერ მიიღო „ბრონზის“ ანუ „გვიანი სინანული“ (როლებში ქრისტიანა ლასარი და ფრ. ლეფეერი) სახავშვო ფილმია (თუმცა მას სხვა სიღრმეებიც აქვს), ხოლო გ. რიუკეს „საუკეთესო წლები“, ეროვნული პრემიის ლაურეატების ჰ. დრინდახა და ჰ. გროსეს მონაწილეობით, ახალი, სოციალიზმის გზაზე დამდგარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობისა და მის საინტერესო ადამიანებზე მოგვითხრობს, რაც შეეხება „დაუსჯელ მკვლელობასა“ (რეჟისორი კ. ბარბაური, როლებში გ. ზომონი, ე. კლაინი) და „გაქცევას დუმილში“ (რეჟისორი ზ. ჰარტმანი, სცენარისტი ე. კილი რეჟისორთან ერთად, მთავარ როლებში: ფ. დიბი, ლ. ვინი, მ. ბემისი, ა. ვრეტალა), ეს ფილმები ისევ ფაშიზმს, თუ მის სავალალო შედეგებს ეხებიან და ამით ერთხელ კიდევ მოგვაგონებენ კაცობრიობის ისტორიის ამ სამარცხვინო მონაკვეთს.

ეს მოგონება მით უფრო მნიშვნელოვანი და საჭიროა, რამეთუ დღეს, იქვე, დასავლეთ ბერლინში ჯერ კიდევ ბოგინობენ ადამიანები, რომლებმაც ჭკუა ვერ ისწავლეს პირველი და მეორე მსოფლიო ომის მწარე გამოცდილებითაც კი, რომლებიც ისევ ცდილობენ ადადგინონ ჰიტლერული რეჟიმი და მსოფლიო ხელახლა შემოსონ ძაძებით. მაგრამ ამაოა მათი ცდა, ადამიანის გონება ვეღარ მოითმენს ამ საბდისწერო შეცდომის გამეორებას. ადამიანებს ადამიანური ცხოვრება სურთ, ეს სურვილი კი — უძლეველია!

აი ზოგადი დასკვნა, რომლის საფუძველსაც გვაძლევს ჩვენი მეგობრების ფილმები. შესაძლოა ყოველი მათგანის საერთო მხატვრული დონე არც კი იდგეს დიდი კინემატოგრაფიის სიმაღლეზე, ან წმინდა პროფესიონალურ-კინემატოგრაფიული თვალსაზრისით ბეჯერ რამ იწვევდეს დავასა და კამათს, მაგრამ ეს მთავარი როდია. მთავარი და მისასალმებელია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოხელოვნება სწორი, ნაცადი გზით მიდის და შთამაგონებლად ასახავს გერმანელი ხალხის ბრძოლას ერთიანი გერმანიისა და საერთო მშვიდობისათვის.

გიორგი დოლიძე.

## მცირე სახელოსნოში

**გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაშია კულტურის დღეებთან დაკავშირებით, 30 ნოემბერს ეწვია საქართველოს დამსახურებული მხატვრის ირაკლი ოჩიაურის სახელოსნოს. სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს მხატვრის ნამუშევრები.

ი. ოჩიაურმა სტუმრებს უამბო, თუ როგორ წარმოიშვა ჭედური ხელოვნება ძველ საქართველოში, როგორ განვითარდა იგი და აღორძინდა.

საქდესის კორესპონდენტმა გერმანელ ჟურნალისტებს სთხოვა გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილებანი. აი რა თქვეს ნათ:

**ეგა ურზულა კეტერაინი,** ჟურნალ „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ რედაქტორი დრეზდენში: — ბულახდილად რომ ითქვას, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ქართულ ჭედურობაზე. ახლა დავრწმუნდი, რომ ეს მშვენიერი, ამაღლებული ხელოვნებაა. ი. ოჩიაურის ნაწარმოებებმა მომაჯადოვა ფაქიზი შესრულებით, გამომსახველობით, ღრმა ქკვიერით ხალხის ხელოვნებასთან.

**ვალტერ დომცაუერი,** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის განყოფილების თანამშრომელი: — მაოცებს გარეგნული და შინაგანი მშვენიერების შეხამება ხელოვანის ჭედურ ნაწარმოებებში. იგი ცხოვრობს თავისი გმირების ცხოვრებით, მჭიდრო კავშირი აქვს თავისი ხალხის ისტორიასა და ხელოვნებასთან. ნახავრებს, რომ ირაკლი ოჩიაური ახალგაზრდაა და კიდევ ბევრ რამეს გააკეთებს. პირადად მე მიოცებს ამ დიდი ოსტატის ხელოვნება, მისი საოცარი თავმდაბლობა და ადამიანობა.

**ჰელგა ბეიერი,** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დეპეშათა სააგენტოს მოსკოვის კორესპონდენტი: — ბევრი რამ წამიკითხავს ძველ ქართული ჭედური ხელოვნების შესახებ. მაგრამ იმან, რაც ინახავრის სახელოსნოში ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აღტაცებული ვარ იმით, რაც ვნახე, ვერასოდეს ვერ დავიიწყებ ამას, ისევე როგორც კულტურის დღეებს ამ მშვენიერ ქვეყანაში.

**ვალტერ ჰენეი,** სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს პრეს-ატაშე: — ჩვენს ახლანდელ მოგზაურობას რესპუბლიკაში რამდენადმე ცალმხრივი ხასიათი აქვს, არა გვაქვს ფიზიკური შესაძლებლობა ვნახოთ ყველაფერი, მაგრამ იმან, რაც ვნახეთ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. განსაკუთრებით დიდი სიამოვნება ნომანიჭა ირაკლი ოჩიაურის სახელოსნოს დათვალიერებამ. ირაკლი ოჩიაურს მიეკუთვნება ატარა საჩუქარი — მხატვარ ჰაინრიხ ტელეს ნამუშევართა რეპროდუქციები. ეს არის ნაწარმოებები გერმანელ ხალხზე, მის მშრომელებზე. ეხებიან შორეულ, მაგრამ მაინც საკრძნობ კავშირს ტელეს ტილოებსა და ოჩიაურის ჭედურობას შორის. ორივენი გამსჭვალული არიან თავიანთი ხალხისადმი სიყვარულით, ეუსურვებ ნიჭიერ მხატვრებს—ირაკლი ოჩიაურს დიდი ხნის სიცოცხლესა და შემოქმედებითს წარმატებებს. (საქდესი).


#

# მეცნიერის სახელოვანი გზა

## პროფესორ გ. ინასარიძის დაბადების 60 წლისთავის გამო

ამომავალშიც გამოგვიგზავნეთ ასეთი ბეჭითი ახალგაზრდები, სწორედ ესენი არიან, ვისაც მეცნიერება წინ მიმყავს, დიდებით მოსავენ იმ უმაღლეს სასწავლებლებს, საიდანაც ისინი მოდიან, და ჩვენთვის დიდი სარგებლობა მოაქვთ. — ასე წერდა დიდი რუსი მეცნიერი ვ. ნ. შევკუნენკო 1935 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მიერ ლენინგრადში სამეცნიერო მიკლენინგრადში გაგზავნილი ახალგაზრდა დასტაქრისა და მეცნიერის გიორგი ზაქარიას-ძე ინასარიძის შესახებ. სასიხარულოა, რომ ახლა ამ ჩვენს თანამემამულეს ვუხდით იუბილეს როგორც გამოჩენილ ქირურგ-უროლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, შესანიშნავ ადამიანს, სამშობლოსა და ხალხის მსახურს.

გიორგი ინასარიძე დაიბადა 1907 წელს კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში. გორის პუმანიტარული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1925 წელს იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დამთავრა 1930 წელს.

სტუდენტობის პერიოდშივე გამოირჩეოდა გ. ინასარიძე დიდი შრომისმოყვარეობით და მეცნიერებისადმი უსაზღვრო სიყვარულით. სწორედ ეს იყო გათვალისწინებული, რომ იგი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიულ-უროლოგიური კათედრის ასისტენტად, რომელსაც აკადემიკოსი ა. პ. წულუკიძე განაგებდა.

როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, გ. ინასარიძე კვლავ თავისი სურვილით წავიდა ფრონტზე, სადაც მალე თავდადებული და მამაცური შრომით თავი გამოიჩინა და 46-ე არმიის მთავარ ქირურგად დაინიშნა.

ფრონტის დაძაბულ, ცხარე საბრძოლო პირობებშიც კი გ. ინასარიძე განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას. მან გამოსცადა და ფართოდ დანერგა ბაქტერიოფაგულ ცეცხლსროლით მიყენებული ჭრილობების მკურნალობის ახალი მეთოდი. იგი აწყობდა არმიის ექიმთა სამეცნიერო კონფერენციებს, ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ქირურგთა მეცნიერულ მუშაობას, აქვეყნებდა საინტერესო შრომებს სამხედრო საველე ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე. ამიტომაც დიდი სამამულო ომის პერიოდში მამაცური და თავდადებული შრომისათვის გ. ინასარიძე დაჯილდოებულია სბრძოლო ორდენებით და მედლებით.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გ. ინასარიძე ბრუნდება თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში, სადაც იგი ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად მუშაობს, ხოლო 1947 წლიდან კათედრის პროფესორად. 1951 წლიდან იგი ამავე ინსტიტუტის ქირურგიული ფაკულტეტის დეკანიც არის.

1949 წელს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის ინსტიტუტში შეიქმნა უროლოგიური განყოფილება. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა იუბილარმა და ამიტომაც დაარსებიდან დღემდე ამ ინსტიტუტის უროლოგიურ განყოფილებას იგი განაგებს. 1955-1956 წლების განმავლობაში იგი ტუბერკულოზის ინსტიტუტის დირექტორიც იყო.

შტად მრავალმხრივი და ნაყოფიერია ინასარიძის მეცნიერული მოღვაწეობა. მის მიერ დაწერილია 60-მდე მეცნიერული შრომა უროლოგიის, ქირურგიის, მორფოლოგიის და ექსპერიმენტული მედიცინის აქტუალურ საკითხებზე. აკადემიკოს ა. პ. წულუკიძესთან და მის სხვა მოწაფეებთან ერთად ინასარიძემ მონაწილეობა მიიღო ქართულ ენაზე უროლოგიის პირველი სახელმძღვანელოს შედგენაში. მან საფუძვლიანად დაამუშავა საშარდე ორგანოების კენჭოვანი დაავადების, შარდსასქესო სისტემაში აღგზნებათა ქიმიური გადაცემის და მანამდე ნაკლებად შესწავლილი ბევრი სხვა საკითხი. კლინიკურად და ანატომიურ-ექსპერიმენტული თვალსაზრისით მან საფუძვლიანად შეისწავლა მენჯის ორგანოების ტრომბოფლებიტები, მოგვაწოდა ამ დაავადებათა ამოცნობის ენდოსკოპური მეთოდი, საბჭოთა კავშირში მან პირველმა გამოიყენა ვენოზური სისტემის ინფრაწითელი სხივებით ფოტოგრაფირება მენჯის თრომბოფლებიტების ამოსაცნობად.

გ. ინასარიძემ ს. მ. გორშკოვასთან ერთად ექსპერიმენტულად დაამუშავა „ნაღვლის სეკრეციის და თორმეტგოჯა ნაწლავში გადასვლის შესწავლის ახალი მეთოდი". ამ ჯამად ცნობილია გორშკოვა-ინასარიძის ოპერაცია (1940). იუბილარმა შეისწავლა ხარის მინერალური წყლის გავლენა ღვიძლის მიერ ნაღვლის გამომუშავების ფუნქციაზე. ინასარიძემ შეიმუშავა შარდის ბუშტის ტუბერკულოზის მკურნალობის საკუთარი მეთოდი — პასკის 10 პროცენტიანი ხსნარით შარდის ბუშტის ინსტალაციით. მანვე ა. მიქელაძესთან ერთად დაამუშავა მამაკაცის სასქესო ორგანოების ტუბერკულოზის პათოგენეზისა და მკურნალობის საკითხები, გ. მხეიძესთან ერთად სრულყო და კლინიკაში დანერგა ფერადი ფოტოელექტროგრაფიის მეთოდი, შეისწავლა საშარდე ორგანოების კანდიდომიკოზისა და უროლოგიის სხვა ბევრი აქტუალური საკითხი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გ. ინასარიძის მიერ გამოქვეყნებული შრომებიდან ფართოდ გამოხმაურება პპოვა მისმა ექვსტომიანმა კაპიტალურმა შრომამ „სამამულო უროლოგიისა და მისი მეზობელი დარგების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი 100 წლის მანძილზე (1855-1955)", რომლის ოთხი ტომი უკვე გამოქვეყნებულია, ორი უკანასკნელი ტომი კი გადაცემულია გამოსაქვეყნებლად.

გ. ინასარიძის ხელმძღვანელობით შესრულებული და დაცული რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია და დაწერილია ბევრი სამეცნიერო ნაშრომი.

მრავალმხრივ ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად გ. ინასარიძე მუდამ ახერხებდა წამომწყები და აქტიური მონაწილე ყოფილიყო ბევრი საზოგადოებრივი საქმიანობისა. იგი მრავალი მეცნიერული ექსპედიციის, კონფერენციის, ყრილობის და სესიის აქტიური მონაწილე და ორგანიზატორია.

1938 წელს გ. ინასარიძე საქართველოს ექიმთა საზოგადოების უროლოგიური სექციის დამფუძნებელი კრების წევრი იყო, მას შემდეგ კი, რაც ეს სექცია უროლოგთა საზოგადოებად იქნა რეორგანიზებული, გ. ინასარიძე აირჩიეს ამ საზოგადოების თავმჯდომარედ. იგი თავმჯდომარეობდა უროლოგთა III საკავშირო კონფერენციას, მოხსენება წაიკითხა ფტიზიატრთა მეექვსე საკავშირო ყრილობაზე და არჩეულ იქნა ფტიზიატრთა საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ. მონაწილეობდა ფტიზიატრთა მეთხუთმეტე საერთაშორისო კონგრესზე სტამბოლში.

ჩვენი იუბილარი 1939 წლიდან სკკპ წევრია. იგი რამდენჯერმე არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, პარტიის რაიონული კომიტეტის წევრად.

გ. ინასარიძის საექიმო-სამეცნიერო მოღვაწეობას საბჭოთა მთავრობამ ჯეროვანი შეფასება მისცა. იგი დაჯილდოებულია სამამულო ომის I და II ხარისხის, წითელი ვარსკვლავის, საპატიო ნიშნის ორდენებით და მედლებით. 1966 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

გ. ინასარიძის უსაზღვრო სიყვარულს მეცნიერებისადმი, ხალხისადმი, საზოგადოებრივი საქმისადმი, მის თავდადებულ შრომას საქმიანობის ყველა სარბიელზე, უდიდეს პატივისცემას ამხანაგებისა და ახალგაზრდა ექიმებისადმი, გულისხმიერებას და ზრუნვას ავადმყოფებისათვის ხალხი და საექიმო საზოგადოებრობა დიდი სიყვარულით და პატივისცემითვე უპასუხებს, ღვაწლმოსილ დასტაქარს და მეცნიერს დაბადების 60 წლის თავზე უსურვებს ახალ თვალსაჩინო წარმატებებს საექიმო და მეცნიერიულ მუშაობაში და ხანგრძლივ, ჯანმრთელ, ბედნიერ ცხოვრებას სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

**პროფესორი გ. ხუნდაძე.**
საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

* * *

სურათზე: გ. ინასარიძე.

# ჩვენს პრე-პრეში

სიღნაღი. (საკ. კორ.). ამ დღეებში რაიონის მხვნელ-მთესველთა შრომის ასპარეზის მიზნით გაიხსნა სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, რომელიც უკვე 20 ათასზე მეტმა კაცმა დათვალიერა.

**ამას წინათ** ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის კოლექტივმა მოიწყო გამოჩენილი ქართველი ინჟინრის, საქართველოში სამელიორაციო საქმის პიონერის გრიგოლ გეგეჭკორის სახელის ტექნიკუმისათვის. მიკუთვნების აღსანიშნავი საზეიმო საღამო ფოთის გ. გენიას სახელობის სახელმწიფო თეატრში.

საღამო გახსნა ტექნიკუმის დირექტორმა ნ. ქოროძემ.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ მსახიობი ვ. ბებუნაშვილი და მხცოვანი მწერალი ლაღო გეგეჭკორი.

(„ამ.", კორ.).

# სასოფლო მუზეუმის გახსნა

მახარაძე. (საკ. კორ.). საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბაილეთის სასოფლო მუზეუმი. მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით მოეწყო თეორიული კონფერენცია, მიძღვნილი რეგოლუციის 50 წლისთავისადმი. ზეიმზე შეკრებილ სოფლის მშრომელებს ბაილეთის კოლმეურნეობა „უკრაინის" თავმჯდომარემ მ. ზაქარიაძემ ვრცლად მოუთხრო რევოლუციამდელ ბაილეთისა და თანამედროვე აღორძინებული ბაილეთის ისტორიულ მასალებზე, ფაქტებზე.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა დოცენტმა ი. სიხარულიძემ, ძველმა ბოლშევიკმა, პარტიის წევრმა 1917 წლიდან შ. დობორჯგინიძემ, მასწავლებელმა ჟ. ტუღუშმა და სხვებმა ილაპარაკეს სოფლის მუზეუმის გახსნის დიდ სიკეთეზე.

# მსოფლიოს ას ქვეყანაში

კარაბასანია ქართული წიგნი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა. იზმირი, ალჟირი, მონრეალი — რამდენ ბაზრობასა თუ გამოფენაში არ მიუღია მონაწილეობა მას. მოსწონებიათ და მაღალი შეფასებაც დაუსახურებია. კარგს წიგნს კი მრავალი მკითხველი ჰყავს. და აი ქართულმა წიგნმაც ბევრი მეგობარი შეიძინა უცხოეთში. ამაზე კი თუნდაც ის შეკვეთები მეტყველებენ, რომლებიც საზღვარგარეთიდან დიდი რაოდენობით მოდის „საქწიგნის" წიგნის ბაზის საექსპორტო გაყოფილების სახელზე.

— ჩვენს განყოფილებას, — თქვა „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში განყოფილების გამგემ ა. ბახტაძემ, — უცხოეთის 100 ქვეყნიდან მოსდის მოთხოვნა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე გამოცემულ ქართველ ავტორთა წიგნებზე. ამ ქვეყნების სამასამდე ფირმა გვთხოვს გავუგზავნოთ სამეცნიერო, ტექნიკური, სამედიცინო და მხატვრული ლიტერატურა. განსაკუთრებით დიდ შეკვეთებს ვიღებთ ქართველ მეცნიერთა შრომებზე.

განყოფილებამ, რომელიც წარსულ, რუსთაველის საიუბილეო წელს შექმნა, თითქმის პირველი დიდი მოთხოვნებიც უკვდავი მწერლის შესახებ არსებულ ლიტერატურაზე მიიღო და ჩვენც „საბჭოთა საქართველოს", „ნაკადულის", „მეცნიერების" თუ სხვათა მიერ გამოცემული, რუსთაველისადმი მიძღვნილი თხზულებიც ყველა დასახელების წიგნი გავგზავნეთ უცხოეთის ქვეყნებში.

ძნელია განყოფილებაში ქართულ წიგნზე მიღებული ყველა შეკვეთის ჩამოთვლა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ქართულმა წიგნმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი უცხოელი მკითხველის წიგნის თაროზე. ანაში ჩვენი განყოფილების თავისებური წვლილიც არის.

# ტურნირი მაღლიორკის კუნძულზე

ესპანეთის მაღლიორკის კუნძულზე გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. უკვე გათამაშდა ოთხი ტური.

მეოთხე ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **ბოტვინიკმა** მორიგი გამარჯვება მოიპოვა ესპანელ **კორალთან**. კვლავ წარმატებით იბრძვის დანიელი გროსმაისტერი **ლარსენი**, მეოთხე ტურში მან მოუგო პოლონელ **ბედნარსკის** და აღიარა ბელგიელი **ო'კელი** წინა ტურის გადადებულ პარტიაში თავი დამარცხებულად ეცნო. **გლიგორიჩმა** (იუგოსლავია) ძალა ატანელ **ხიმენეზს**, **ო'კელმ** — იტალიელ **ტატაის**, **პორტიშმა** (უნგრეთი) და **მატულოვიჩის** (იუგოსლავია), ავრეთვე ესპანელების **ტორან